Swiss Agency for Development and Cooperation

Institute for Social Studies and Analysis

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი

ბათუმი, 25 მაისი, 2018 წელი

“ხელმისაწვდომი საცხოვრისის” პროგრამის იდეოლოგია და სამიზნე ჯგუფი

- “ხელმისაწვდომი საცხოვრისის” პროგრამის **იდეოლოგიური საფუძველია** მემარცხენე–ცენტრისტული ურბანისტული მიდგომა, რომლის თანახმადაც სოციალური სარგებლის (ამ შემთხვევაში, საცხოვრისის) უზრუნველყოფაში პარიტეტულად მონაწილეობს ოჯახის ინსტიტუტი და სახელმწიფო ხელისუფლება.
- პროგრამის **სამიზნე ჯგუფი** არის საზოგადოების ის ფენა, რომელმაც სიღარიბეს თავი დააღწია, მაგრამ ვერ ჩამოყალიბდა სტაბილურ საშუალო ფენად, რათა საკუთარი ძალისხმევის საუძველზე, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, შეძლოს ისეთი ფუნდამენტური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორიცაა ადეკვატური საცხოვრებლით სარგებლობა.
- ეკონომიკური, კერძოდ, შემოსავლების ნიშნით, პროგრამის სამიზნე ოჯახები, მათი სტუქტურის მიხედვით, ასე შეიძლება აღიწეროს: ერთსულიანი ოჯახებისთვის თვეში შემოსავლების მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები მერყეობს დაახლოებით 400–1200 GEL, ორსულიანი ოჯახებისთვის 400–1800 GEL; სამსულიანისთვის – 600–2400 GEL, ხოლო 4 და მეტსულიანისთვის – 800–3000 GEL ფარგლებში
- ამდენად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ “ხელმისაწვდომი საცხოვრისის” პროგრამის ბენეფიციარები არ არიან **სოციალურად დაუცველი** (ე.წ. “მოწყვლადი”) ჯგუფები, რომელთა მიმართაც სახელმწიფო იღებს ძირითადი დონორის ვალდებულებას.

ზოგიერთი ცნების განმარტება

- **„ხელმისაწვდომი საცხოვრისი“** (Affordable Housing) არის იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა მრავალსართულიან კორპუსში, რომელსაც მუნიციპალიტეტი გადასცემს აპლიკანტ ოჯახს, განსაზღვრულ პერიოდში ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის და ბინის საბოლოო გამოსყიდვის უფლებით.
- **აპლიკანტი ოჯახი** – უფლებამოსილი პირი (ძირითადად, ოჯახის უფროსი), მისი მეუღლე და მშობლებთან მუდმივად მცხოვრები შვილი/შვილები (მათი მეუღლეები) ან უფლებამოსილი პირის მშობლები და ბებია/ბაბუები, რომლებიც ცხოვრობენ ერთად, სხვა ოჯახისგან განცალკევებულ ფართზე.
- **ოჯახის უფროსი** - ოჯახის წევრი, რომელსაც ოჯახის დანარჩენი წევრები მიიჩნევენ ოჯახის უფროსად; ოჯახის უფროსი არააუცილებელია იყოს ოჯახის ყველაზე ხნიერი წევრი, მთავარი შემომტანი და სხვ.
- **ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:**

  ა) პირ(ებ)ი, რომლებიც ოჯახთან ერთად ფაქტობრივად არ ცხოვრობენ დასაქმების ან სხვა რაიმე მიზეზთა გამო;

  ბ) სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი;

  გ) ქვეყნის ფარგლებს გარეთ 12 თვეზე მეტი ხნით მყოფი პირი;

  დ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი

ზოგიერთი ცნების განმარტება

- **სტაბილური სამუშაო** – დასაქმების ადგილი, საიდანაც პირი გარანტირებულად იღებს ფულად შემოსავალს, ხელფასის ან გამომუშავების სახით.
- **ძირითადი სამუშაო** – სამუშაო, რომელიც სტაბილურია, ხოლო რამდენიმე სტაბილური სამუშაოს არსებობის შემთხვევაში - ის, საიდანაც უფრო მეტი ანაზღაურება მიიღება.
- **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა** – საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება (ან/და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია) მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული საცხოვრებელი, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე.
- **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა** – საჯარო რეესტრში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა.

„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ ობიექტური მახასიათებლები

ოჯახის წევრთა რაოდენობა	ბინაში ოთახების რაოდენობა	ბინის ფართი	გადასახადი თვეში (ლარი)	თანხის დაფარვის პერიოდი
1 ან 2 სულიანი	ერთ ოთახიანი	37 კვ.მ.	189	15 წელი
3 ან 4 სულიანი	ორ ოთახიანი	56–58 კვ.მ.	287–301	15 წელი
5 ან მეტ სულიანი	სამ ოთახიანი	73 კვ.მ	374	15 წელი

“ხელმისაწვდომი საცხოვრებლის“ აპლიკანტი ოჯახები ფასდება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით

1. ოჯახის წევრების მოქალაქეობა

2. ოჯახის წევრების რეგისტრაცია ბათუმში

3. ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებლის (ბინა/სახლი) სტატუსი

- ბინა/სახლი საკუთრებაში აქვს
- ბინას/სახლს ქირაობს
- ბინას/სახლს გირაობს
- ცხოვრობს სხვა პირის (ნათესავის/არანათესავის/სახელმწიფოს) მიერ უსასყიდლოდ დათმობილ ბინაში/სახლში
- ცხოვრობს არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართში

4. ოჯახის სხვა უძრავი ქონება

- არასასოფლო–სამეურნეო მიწის ფლობა
- კომერციული ფართის ფლობა

5. ოჯახის ზომა (სულადობა)

ხელმისაწვდომი საცხოვრებლის“ აპლიკანტი ოჯახები ფასდება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით

(გაგრძელება):

6. ოჯახის წევრების დასაქმებს სტატუსი/სამუშაოს სტაბილურობა

7. ოჯახის შემოსავლები და შემოსავლის წყაროები

8. ოჯახის (მისი წევრების) საბანკო ვალდებულებები

9. ოჯახის წევრების სპეცილური სტატუსი

- მრავალშვილიანი ოჯახი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ოჯახში
- ახალდაქორწინებული წყვილი
- მარჩენალდაკარგული
- ომის ვეტერანი და სხვ.

10. საცხოვრებელი ბინის/სახლის მდგომარეობა

11. სუბიექტური ლოილობა „ხელმისაწვდომი საცხოვრებლის“ პროგრამის მოთხოვნების მიმართ

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის მინიმალური მოთხოვნები

თუ აპლიკანტი ოჯახი რომელიმე ერთ მოთხოვნას მაინც არ აკმაყოფილებს, მისთვის ბინის გადაცემის შანსი ნულდება.

ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე
ოჯახის ერთ სრულწლოვან წევრს მაინც უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია ბათუმში, სულ მცირე, ერთი წელი
ოჯახს საკუთრებაში არ უნდა გააჩნდეს შემდეგი უძრავი ქონება: საცხოვრებლად ვარგისი ბინა/სახლი, არასასოფლო–სამეურნეო მიწა, კომერციული ფართი (10 კვადრატულ მეტრზე მეტი)
ოჯახი არ უნდა ცხოვრობდეს ოჯახის უფროსის ბებია–ბაბუის/მშობლის/შვილის/შვილიშვილის კუთვნილ ბინაში/სახლში
ოჯახის ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს სტაბილური სამუშაო
ოჯახის შემოსავალი უნდა შეადგენდეს “ხელმისაწვდომი საცხოვრისისთვის” ყოველთვიური შენატანის მინიმუმ ორმაგ ოდენობას
ოჯახის საერთო შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 1 სულიანი ოჯახებისთვის 1200 ლარს, 2 სულიანისთვის - 1800-სს; 3 სულიანისთვის - 2400–სს. ხოლო ოთხი და მეტ სულიანისთვის – 3000–სს.
ოჯახი, რომელიც ბინას ქირაობს, ქირაში არ უნდა იხდიდეს “ხელმისაწვდომი საცხოვრისის” ყოველთვიური მინიმალური შენატანის სამმაგ ოდენობაზე მეტს
ოჯახისთვის, რომელიც ბინას გირაობს, გირაო არ უნდა შეადგენდეს ხელმისაწვდომი საცხოვრისის საერთო ღირებულების ნახევარზე მეტს

„იდეალური ოჯახი“
„ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობისთვის

ოჯახის ერთი წევრის რეგისტრაცია ბათუმში 25 და მეტი წლის განმავლობაში
სპეციალური სტატუსის მქონე შემდეგი პირ(ებ)ის არსებობა ოჯახში: შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედა, ახალდაქორწინებული, ომის ვეტერანი
ოჯახში სტაბილურად ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე წევრების ყოფნა, როდესაც სტაბილური სამუშაო გრძელდება 2 და მეტი წლის განმავლობაში
“ხელმისაწვდომი საცხოვრისის” ყოველთვიური შენატანის მინიმუმისა და დადგენილი მაქსიმუმის საშუალო არითმეტიკულის ტოლფასი შემოსავალი ოჯახისთვის
ოჯახის მიერ საკუთარი ბიუჯეტიდან კომუნალური გადასახადების გადახდა
ქირით მცხოვრები ოჯახისთვის, ქირის ოდენობა “ხელმისაწვდომი საცხოვრისის” ყოველთვიურ შენატანთან მიახლოებული ფასით და ქირის გადახდა შეფერხებების გარეშე
ოჯახი ცხოვება ისეთ საცხოვებელ ფართში, რომელიც დაზიანებულია

რომელი ოჯახი ჩაითვლება „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის ადეკვატურ კანდიდატად?

- ბათუმში დამკვიდრებული მრავალსულიანი ოჯახი, რომელსაც აქვს ძლიერი საჭიროება, თუმცა, არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი (არც სხვა უძრავი ქონება – არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი); მისი წევრების სტაბილური სამსახურის, შესაბამისად, სტაბილური, თუმცა საშუალო შემოსავლის წყალობით ზომიერ ფასად შეუძლია იქირაოს საცხოვრებელი, შეუფერხებლად გადაიხადოს ქირა და კომუნალური (ან სხვა რომელიმე) გადასახადები, არ გააჩნია საბანკო დავალიანება და ოჯახში ჰყავს სპეციალური სტატუსის მქონე პირი/პირები (შშმპ, ახალდაქორწინებული, მარჩენალდაკარგული, ომის ვეტერანი და სხვ.). ამასთან, ოჯახისთვის მისაღებია “ხელმისაწვდომი საცხოვრისით” გათვალისწინებული პირობები.

სარეიტინგო ქულის სტრუქტურა

სარეიტინგო ქულა წარმოადგენს შემდეგი **სამი კომპონენტის** ნამრავლს:

Q=int(Q1 X Q2 X Q3X10000) =

Int((გადახდისუნარიანობის ინდექსი) X

(ბინის საჭიროების ინდექსი) X

(გამფილტრავი კომპონენტი)X10000)

- სარეიტინგო ქულა არის არაუარყოფითი რიცხვი,;
- ყოველი აპლიკანტი ოჯახისათვის, ანკეტაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, გამოითვლება მისი სარეიტინგო ქულა;
- ოჯახს „ხელმისაწვდომ საცხოვრისში“ ბინის მიღების მით უფრო მეტი შანსი აქვს, რაც უფრო მეტია მისი სარეიტინგო ქულა;
- თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა ნულის ტოლია, ოჯახი კარგავს ბინის მიღების უფლებას.

1. გადახდისუნარიანობის ინდექსი

- გადახდისუნარიანობის ინდექსი წარმოადგენს ოჯახის გადახდისუნარიანობის დონის შეფასებას. იგი არაუარყოფითი რიცხვია.
- ითვლება, რომ ოჯახის გადახდისუნარიანობის დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტია გადახდისუნარიანობის ინდექსი
- გადახდისუნარიანობის ინდექსის გამოსათვლელად გამოყენებული პარამეტრები მათი მნიშვნელოვნების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობითაა დალაგებული:

X11. ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი
X12. დასაქმებულთა რაოდენობა ოჯახში
X13. სტაბილური დასაქმების მქონე ოჯახის წევრთა რაოდენობა
X14. ოჯახი იხდის კომუნალურ გადასახადებს
X15. ოჯახი სტაბილურად იხდის ბინის ქირას

2. საჭიროების ინდექსი

- საჭიროების ინდექსი წარმოადგენს „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ საჭიროების შეფასებას;
- საჭიროების ინდექსი არაუარყოფითი რიცხვია;
- რაც უფრო მეტია ეს რიცხვი მით უფრო მეტია ოჯახის მიერ ბინის მიღების საჭიროება;
- „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ საჭიროების დონის შესაფასებლად გამოყენებული პარამეტრები მათი მნიშვნელოვნების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობითაა დალაგებული:

X21. უბინაობის დამატებითი წლები

X28. ოჯახის მიერ ბინის გადაცემის პირობების ცალსახად მისაღებობა

X22. ოჯახის წევრ(ებ)ის ბათუმში რეგისტრაციის დამატებითი წლები

X23. წევრთა რაოდენობა ოჯახში

X24.მკვეთრად გამოხატული შშმ წევრთა რაოდენობა ოჯახში

X25. ზომიერად გამოხატული შშმ წევრთა რაოდენობა ოჯახში

X26. ახალდაქორწინებული წყვილის არსებობა ოჯახში

X27. სხვადასხვა კატეგორიის მქონე წევრთა (მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედა, ომის ვეტერანი) რაოდენობა

X29. ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრისის ცუდი მდგომარეობა

X210. ოჯახი ქირით ცხოვრობს 3 წელზე მეტია

3. გამფილტრავი კომპონენტი

- ღებულობს ორ მნიშვნელობას 1-ს ან 0-ს.
- გამოითვლება როგორც შემდეგი დიქოტომური კომპონენტების ნამრავლი:

X31. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის არსებობა ოჯახში

X32. ბათუმში სულ ცოტა ერთწლიანი რეგისტრაციის არმქონე წევრის არსებობა ოჯახში

X33. ოჯახის წევრს აქვს უძრავი ქონება (სახლი/ბინა, მიწა, 10 კვ. მეტრზე მეტი კომერციული ფართი)

X34. ოჯახი ცხოვრობს რომელიმე წევრის ბებია–ბაბუის/მშობლის/შვილის/შვილიშვილის კუთვნილ ბინაში/სახლში

X34. ოჯახის მთლიანი შემოსავალი ნაკლებია შენატანის მინიმუმის სამმაგ ოდენობაზე

X35. ოჯახის მთლიანი შემოსავალი მეტია წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ მაქსიმუმზე

X36. ოჯახს აქვს აღებული ბანკის ვალი რომელსაც შეფერხებებით ან საერთოდ ვერ იხდის

X37. დაქირავებული აქვს მინიმალურ შენატანთან შედარებით ძალიან ძვირი ბინა

X38. ოჯახს დაგირავებული აქვს ძალიან ძვირი ბინა

X39. ბინის გადაცემის პირობები მიუღებელია ოჯახისათვის

X310. ოჯახმა არასწორი (მცდარი) ინფორმაცია მიაწოდა ინტერვიუერს.

გადახდისუნარიანობის ინდექსის ფორმულა

$$Q_1 = k_{11}X_{11} + k_{12}X_{12} + k_{13}X_{13} + k_{14}X_{14} + k_{15}X_{15}$$

სადაც

- X_{11} არის შემოსავლის ინდექსი;
- X_{12}-დასაქმების ინდექსი;
- X_{13}-სტაბილური დასაქმების ინდექსი;
- X_{14}-გადასახადების ინდექსი;
- X_{15}-ბინის ქირის ინდექსი.

თითოეული ინდექსი ღებულობს მნიშვნელობებს 0-დან 1-მდე დიაპაზონში.

k_{11}, k_{12}, k_{13},k_{14} და k_{15} წარმოადგენენ ინდექსების კოეფიციენტებს.

k11	k12	k13	k14	k15
1	0.8	0.6	0.4	0.2

შემოსავლის ინდექსის ფორმულა

- $X_{11} = (Y_{11} - a)(b - Y_{11}) / \frac{(b-a)^2}{4}$

Y_{11}ოჯახის ყველა წევრის ჯამური შემოსავალი თვეში

ოჯახის ზომა	1	2	3	4	≥5
ხელმისაწვდომი საცხოვრისისათის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა - a	378	378	574	574	748
- ოჯახის შემოსავლის დადგენილი მაქსიმუმი - b	1200	1800	2400	3000	3000

- დასაქმების ინდექსის ფორმულა

$$X_{12} = (1 - \frac{1}{d+1})^2 \frac{121}{100}.$$

d დასაქმებულ წევრთა რაოდენობა ოჯახში

- სტაბილური დასაქმების ინდექსის ფორმულა

$$X_{13} = (1 - \frac{1}{S+1})^2 \frac{121}{100}$$

S – 2 წელზე მეტი ხნით სტაბილურად დასაქმებულთა რაოდენობა ოჯახში

- გადასახადების ინდექსის ფორმულა

$$X_{14} = sign(D_{12} + D_{22} + D_{32} + D_{42})$$

- ბინის ქირის ინდექსის ფორმულა

$$X_{15} = I_1(F5)$$

$I_k(A)=1$, თუ A კითხვის პასუხის კოდი უდრის k-ს

საჭიროების ინდექსის ფორმულა

$$Q_2 = k_{21}X_{21} + k_{22}X_{22} + k_{23}X_{23} + k_{24}X_{24} + k_{25}X_{25} + k_{26}X_{26} + k_{27}X_{27} + k_{28}X_{28} + k_{29}X_{29} + k_{210}X_{210}$$

- X_{21}- უბინაობის წლების ინდექსი,
- X_{22} -ბათუმში რეგისტრაციის წლების ინდექსი
- X_{23}-წევრთა რაოდენობის ინდექსი
- X_{24} -მკვეთრად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსი
- X_{25} - ზომიერად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსი
- X_{26} - ოჯახში ახალდაქორწინებულ წყვილთა არსებობის ინდექსი
- X_{27} - სხვადასხვა კატეგორიის წევრთა რაოდენობის ინდექსი
- X_{28} - ბინის გადაცემის პირობების მისაღებლობის ინდექსი
- X_{29} - საცხოვრისის მდგომარეობის ინდექსი
- X_{210} - ოჯახის ქირით ცხოვრების ინდექსი.

k21	k22	k23	k24	k25	k26	k27	k28	k29	k210
1	0.8	0.7	0.6	0.5	0.4	0.3	0.9	0.2	0.1

- უბინაობის წლების ინდექსის ფორმულა

$$X_{21} = \begin{cases} 0, \text{თუ } E3 < 4, \\ (1 - \frac{1}{E3 - 3})^2 \frac{484}{441}, \text{თუ } 4 \leq E3 \leq 25 \\ 1, \text{თუ } E3 > 25 \end{cases}$$

- ბათუმში რეგისტრაციის წლების ინდექსის ფორმულა

$$X_{22} = \begin{cases} 0, \text{თუ } R < 14, \\ (1 - \frac{1}{R - 13})^2 \frac{484}{441}, \text{თუ } 14 \leq E3 \leq 25 \\ 1, \text{თუ } R > 25 \end{cases}$$

- წევრთა რაოდენობის ინდექსის ფორმულა

$$X_{23} = \begin{cases} 0, \text{თუ } B2 < 1, \\ (1 - \frac{1}{B2})^2 \frac{144}{121}, \text{თუ } 1 \leq E3 \leq 12 \\ 1, \text{თუ } B2 > 12 \end{cases}$$

- მკვეთრად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსის ფორმულა

$$X_{24} = \begin{cases} 0, \text{თუ } m < 1, \\ (1 - \frac{1}{m+1})^2 \frac{25}{16}, \text{თუ } 1 \leq m \leq 4 \\ 1, \text{თუ } \ m > 4 \end{cases}$$

- ზომიერად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსის ფორმულა

$$X_{25} = \begin{cases} 0, \text{თუ } z < 1, \\ (1 - \frac{1}{z+1})^2 \frac{25}{16}, \text{თუ } 1 \leq z \leq 4 \\ 1, \text{თუ } \ z > 4 \end{cases}$$

- ოჯახში ახალდაქორწინებულ წყვილთა არსებობის ინდექსის ფორმულა

$X_{26} = 1$, თუ ოჯახში არის ახალდაქორწინებული წყვილი და $X_{26} = 0$, წინააღმდეგ შემთხვევაში.

- სხვადასხვა კატეგორიის წევრთა რაოდენობის ინდექსის ფორმულა

$$X_{27} = \begin{cases} 0, \text{თუ } k < 1, \\ (1 - \frac{1}{k+1})^2 \frac{169}{144}, \text{თუ } 1 \leq k \leq 12 \\ 1, \text{თუ } \ k > 12 \end{cases}$$

- ბინის გადაცემის პირობების მისაღებლობის ინდექსის ფორმულა

$$X_{28} = I_4(G1) + 0.5 I_3(G1)$$

- საცხოვრისის მდგომარეობის ინდექსის ფორმულა

$$X_{29} = I_5(F6) + 0.5 I_4(F6)$$

- ოჯახის ქირით ცხოვრების ინდექსის ფორმულა

$$X_{210} = \begin{cases} 0, \text{თუ } F4 < 3, \\ (1 - \frac{1}{F4-2})^2 \frac{169}{144}, \text{თუ } 3 \leq F4 \leq 25 \\ 1, \text{თუ } \ F4 > 25 \end{cases}$$

გამფილტრავი კომპონენტის ფორმულა

$$Q_3 = \prod_{k=1}^{10} X_{3k}$$

- X_{31} – ოჯახში ცხოვრობს წევრი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;
- X_{32} – ოჯახის არცერთი სრულწლოვანი წევრი არ არის რეგისტრირებული ბათუმში სულ ცოტა 1 წლის განმავლობაში.
- X_{33} –ოჯახის წევრ(ებ)ს აქვს უძრავი ქონება ან არასასოფლო-სამეურნეო მიწა ან არაკომერციული ფართი 10კვ.მ.-ზე მეტი ფართობის;
- X_{34} –ოჯახი ცხოვრობს ოჯახის უფროსის მშობლის/შვილის/ბაბუის/ბებიის კუთვნილ სახლში;
- X_{35} –ოჯახის წევრები ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგ ოდენობაზე (ცხრილი1-დან);
- X_{36} –ოჯახის წევრები ჯამური შემოსავალი თვეში მეტია ამ ზომის ოჯახისათვის დაწესებულ მაქსიმუმზე (ცხრილი1-დან);
- X_{37} –ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგ ოდენობაზე (ცხრილ1-დან);
- X_{38} –ოჯახის მიერ დაგირავებული ბინის საფასური აღემატება ხელმისაწვდომი საცხოვრისის ღირებულების ნახევარს;
- X_{39} –ბინის გადაცემის პირობები ოჯახისათვის მიუღებელია (G1 კითხვაში კოდები 1 და 2);
- X_{310} -ოჯახის მიერ ანკეტაში დაფიქსირებულ ინფორმაციაში აღმოჩნდა სიყალბე.

ბენეფიციართა შერჩევის პროცედურა

- “ხელმისაწვდომი საცხოვრებლის” პროგრამის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა
- პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული
- აპლიკანტების საინფორმაციის ბაზის შექმნა (განაცხადების მიღება)
- ინტერვიერების შერჩევა და დატრენინგება
- საველე სამუშაოები
- პოტენციური ბენეფიციარი ოჯახების შერჩევა და სისტემატიზაცია
- პოტენციური ბენეფიარების შესახებ მიღებული ინფორმაციის გადამოწმება
- ბენეფიციართა საბოლოო სიის ფორმირება

ვინ გამოავლინა საპილოტე კვლევამ პროგრამით სარგებლობის ყველაზე ადეკვატურ (მაღალქულიან) კანდიდატ ოჯახად?

ასეთი აღმოჩნდა ოჯახი, რომელსაც აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- ოჯახი 5 სულიანია, 50 წელზე მეტია ცხოვრობს ბათუმში;
- ოჯახი უბინაოდ ცხოვრობს უკვე 9 წელი, შესაბამისად, 9 წელია ქირაობს ბინას და ქირას იხდის დაგვიანების გარეშე;
- ოჯახის 3 წევრი დასაქმებულია, აქედან 2 წევრს აქვს სტაბილური სამუშაო;
- ოჯახის მთლიანი შემოსავალი თვეში შეადგენს დაახლოებით 1950 ლარს (რაც ბალზე ახლოსაა ამ ზომის ოჯახების მინიმალური და მაქსიმალური შემოსავლების საშუალო მაჩვენებელთან);
- ოჯხს ჰყავს მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის მქონე ერთი პირი;
- ოჯახი იხდის კომუნალურ გადასახადებს დავალიანების გარეშე;
- ოჯახის ერთ–ერთ წევრს , ბოლო 2 წლის განმავლობაში, აღებული აქვს სესხი ბანკიდან და შეუფერხებად იხდის სესხის პროცენტს.

გმადლობთ
ყურადღებისთვის!